

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი წესები

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს-საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში - უნივერსიტეტი) მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების საერთო წესებს.
2. სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე.
3. ნაშრომის შესრულება მაგისტრანტს შეუძლია დამამთავრებელ სემესტრში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
4. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება დასტურდება მისი წარდგენითა და საჯარო დაცვით კომისიის ღია სხდომაზე.

მუხლი 2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევისა და დამტკიცების პროცედურა

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელსა და თემას მაგისტრანტი ირჩევს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით, სწავლების მეოთხე სემესტრის დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციის ვადებში, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული თემატიკის ფარგლებში მოცემული თემების ჩამონათვალიდან.
2. სტუდენტი, რომელიც აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში არ აირჩევს სამაგისტრო ნაშრომს, კარგავს მიმდინარე სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის შესრულების შესაძლებლობას.
3. დაუშვებელია სამაგისტრო ნაშრომის თემის /კვლევის თეზისის / კვლევის ძირითადი მიმართულებების განმეორება სამაგისტრო ნაშრომის დაცვიდან 2 სასწავლო წლის განმავლობაში.
4. სამაგისტრო ნაშრომის თემა უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობისათვის აქტუალურ სამეცნიერო მიმართულებებს და მისი შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იყოს რეალურად ხელმისაწვდომი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზების შესაძლებლობები.
5. სამაგისტრო თემა უნდა ეხებოდეს აქტუალურ, მაგრამ არა ძალიან ფართო პრობლემას, რომლის ანალიზისას მაგისტრანტმა უნდა შეძლოს ორიგინალურობის ჩვენება.

- სამაგისტრო ნაშრომების წარმოდგენისა და დაცვის ვადები, ასევე სამაგისტრო ნაშრომების დაცვის მიზნით შექმნილი კომისიის შემადგენლობა, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ან/და დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. კონკრეტული თემის სპეციფიკის გათვალისწინებით, პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს ხელმძღვანელის სამეცნიერო ან პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე, კონკრეტული პირის ხელმძღვანელობით ადრე შესრულებული თემების აქტუალურობას და გამართულობას.
- უნივერსიტეტი უფლებამოსილია, პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე მოიწვიოს და პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის განხორციელებაში ჩართოს შესაბამისის დარგის კომპეტენტური აკადემიური ან პროფესიული გამოცდილების მქონე პერსონალი, სხვა საგანმანათლებლო ან სამეცნიერო დაწესებულებიდან.
- დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთან ერთად, სამაგისტრო ნაშრომის თანახმდღვანელი შეიძლება იყოს შესაბამის დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულებები

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ისარგებლოს სეუ-ს მიერ მისთვის შექმნილი სამსახურეობრივი ელ. ფოსტით, რადგან ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ნაშრომების ხელმძღვანელობასთან/რეცენზირებასთან დაკავშირებით გაგზავნილ იქნება სამსახურეობრივ ფოსტაზე.
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, იქონიოს აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებთან, რომელთა ნაშრომის ხელმძღვანელობაც მას დაევალა. აღნიშნული მოიცავს:
 - ა) სტუდენტებისთვის ნაშრომის შესრულების წესის გაზიარებას;
 - ბ) ნაშრომის შესრულების გეგმის შედგენაში დახმარებას და მის ზედამხედველობას;
 - გ) ნაშრომის შინაარსობრივი და აკადემიური სტილის კორექტირებას/მითითების მიცემას;
 - დ) ნაშრომის პლაგიატის პროგრამაზე დროულ შემოწმებას;
 - ე) ნაშრომის საბოლოო სახის და თავისი შეფასების უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის დროულად, დადგენილ ვადებში მიწოდებას.
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ასევე ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურებისა და ვადების შესახებ. სურვილის შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს აქვს უფლება, დაესწროს ნაშრომის დაცვის პროცედურას.

4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია, თავად ატვირტოს სამაგისტრო ნაშრომები ანტიპლაგიატის პროგრამაზე - ტურნიტინზე (www.turnitin.com) ტექსტის ორიგინალობის შესამოწმებლად და პლაგიატის გამორიცხვის მიზნით. ანტიპლაგიატის პროგრამაზე წვდომა გააქტიურებულია, სეუ-ს სამსახურებრივი ელ. ფოსტით. აუცილებელია, რომ სწორედ ამ ფოსტით მართოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა ტურნიტინის პროგრამა.
5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი პლაგიატზე მის მიერ უკვე შემოწმებულ ნაშრომს, რეცენზირებისათვის უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს. სამაგისტრო ნაშრომთან ერთად ხელმძღვანელი აგზავნის „ხელმძღვანელის შეფასებას“ (დანართი 4). სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს წარმოდგენილი Microsoft Word-ის ფორმატში, ხოლო შეფასება ხელმოწერილი და PDF - ის ფორმატში.
6. ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესში არსებული პრობლემების შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი აცნობებს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც ახდენს შესაბამის რეაგირებას.
7. პლაგიატის აღმოჩენის, ან იმ შემთხვევაში თუ სამაგისტრო ნაშრომის ორიგინალი ტექსტის მოცულობა არის 85%-ზე ნაკლები (დამთხვევა აღემატება 15%-ს), ხელმძღვანელი ვალდებულია მოახდინოს რეაგირება. ასეთ შემთხვევაში, ნაშრომის ხელმძღვანელი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 3 დღისა აღმოფხვრას იგი. თუ ხელახლა ატვირთულ ნაშრომში პლაგიატის შემთხვევა კვლავ ფიქსირდება, ნაშრომის ხელმძღვანელი არ აფასებს ნაშრომს და მიმართავს ფაკულტეტის დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის სამეცნიეროკვლევითი საქმიანობის დებულების 23-ე მუხლით.
8. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია მკაცრად დაიცვას თითოეული პროცედურისათვის გაწერილი ვადები.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ეტაპები

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება მოიცავს:
 - ა) სამაგისტრო ნაშრომის სათაურის შეთანხმებას;
 - ბ) სამაგისტრო ნაშრომისა და კვლევის გეგმის შედგენას;
 - გ) ხელმძღვანელთან კონსულტაციებს;
 - დ) კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას;
 - ე) ლიტერატურასთან, სამეცნიერო და სხვა წყაროებთან დამოუკიდებელ მუშაობას;
 - ვ) სამაგისტრო ნაშრომის პირველადი ვერსიის ხელმძღვანელის მიერ განხილვას;
 - ზ) სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებას;
 - თ) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებას;
 - ი) სამაგისტრო ნაშრომის საჯაროდ დაცვას.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის გეგმა

1. სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის შემდეგ მაგისტრანტი, რექტორის მიერ დამტკიცებულ ვადებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს წარუდგენს სამაგისტრო

ნაშრომის გეგმის პროექტს, რის საფუძველზეც, მაგისტრანტი და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ერთობლივად ადგენენ სამაგისტრო ნაშრომის გეგმას.

2. სამაგისტრო ნაშრომის გეგმის შეთანხმების ეტაპზე დასაშვებია სამაგისტრო ნაშრომის სათაურის კორექტირება და დაზუსტება საკვლევ თემისა და კვლევის გეგმიდან გამომდინარე.
3. სამაგისტრო ნაშრომის გეგმის ფორმა მოცემულია დანართში.

მუხლი 7. კონსულტაციები სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან

1. მაგისტრანტი უფლებამოსილია მიიღოს კონსულტაციები კვლევის დიზაინსა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისგან ყოველკვირეულად, უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული გრაფიკით.
2. მაგისტრანტი და ხელმძღვანელი უფლებამოსილი არიან შეთანხმდნენ კომუნიკაციის სხვა, მათ შორის ელექტრონულ ფორმებზე, რის შესახებ ხელმძღვანელი აცნობებს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს.
3. კონსულტაციების ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, მაგრამ არ არის ვალდებული, შესთავაზოს მაგისტრანტს კვლევის უკეთესი გეგმა და ლიტერატურული წყაროები, ასევე, დასაბუთებული უარი უთხრას ნაშრომში ისეთი ინფორმაციის გამოყენებაზე რომელსაც არ აქვს სამეცნიერო ხასიათი ან არ არის აქტუალური.
4. მაგისტრანტი არ არის ვალდებული გაითვალისწინოს ხელმძღვანელის მითითებები.
5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მხრიდან საკუთარი უფლება-მოვალეობების არშესრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი უფლებამოსილია დასაბუთებული საჩივარი წარუდგინოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს.

მუხლი 8. მაგისტრანტის დამოუკიდებელი მუშაობა

1. სამაგისტრო ნაშრომის პირველად დაცვამდე, ხელმძღვანელთან შეთანხმებულ ვადებში, მაგისტრანტი ახორციელებს დამოუკიდებელ კვლევას, ლიტერატურასთან და სამეცნიერო ბაზებთან მუშაობას, ახდენს კვლევის შედეგების დამუშავებას და ნაშრომის ტექსტობრივი ნაწილის მომზადებას.
2. სამაგისტრო ნაშრომზე დამოუკიდებელი მუშაობის პერიოდში, მაგისტრანტი უფლებამოსილია:
 - ა) გამოიყენოს უნივერსიტეტის სასწავლო სივრცე, საბიბლიოთეკო ბაზისა და კომპიუტერული რესურსების ჩათვლით;
 - ბ) მიიღოს წვდომა უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე;
 - გ) მოითხოვოს უნივერსიტეტის შუამდგომლობა კონკრეტულ ორგანიზაციაში კვლევის ჩატარებისთვის.
 - დ) მიიღოს უნივერსიტეტის სხვა აკადემიური პერსონალის კონსულტაცია ინტერდისციპლინარულ კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- ე) მიიღოს კონსულტაცია კვლევაში სამეცნიერო ეთიკის დაცვასთან, პერსონალური მონაცემებისა და სამართლებრივ დაცვის ობიექტად აღიარებულ სხვა ინფორმაციასთან მუშაობის თაობაზე.
3. დამოუკიდებელი კვლევის განხორციელებისას, მაგისტრანტი ვალდებულია დაიცვას სამეცნიერო ეთიკის, პერსონალური მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპები, გამოიყენოს მიღებული ინფორმაცია მხოლოდ სამეცნიერო კვლევის მიზნებისათვის, გაავრცელოს და გამოაქვეყნოს ინფორმაცია მხოლოდ განზოგადებული სახით.
 4. სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტმა უნდა წარმოაჩინოს, რომ ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ მან ჩაატარა დამოუკიდებელი კვლევა, შეძლო პრობლემური საკითხის მეცნიერული მეთოდებით დამუშავება და შედეგების დამაჯერებელი არგუმენტაციით წარმოადგენა.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის ვადები

1. სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენისა და დაცვის ვადები მტკიცდება სამაგისტრო თემებთან ერთად.
2. მაგისტრანტი რექტორის მიერ დამტკიცებულ ვადებში უზრუნველყოფს კვლევის გეგმის, მის მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის პირველადი და საბოლოო ვარიანტის წარდგენას.
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი დატკიცებულ ვადებში უზრუნველყოფს მაგისტრანტისათვის რეკომენდაციების მიწოდებას.
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის რეკომენდაციაში მიეთითითება:
 - ა) სამაგისტრო ნაშრომის აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას და მზად არის დაცვისთვის;
 - ბ) სამაგისტრო ნაშრომში აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, სასურველია კონკრეტული საკითხების უფრო დეტალურ გაშუქება სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე;
 - გ) სამაგისტრო ნაშრომი მეტწილად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, თუმცა აუცილებელია მისი ნაწილის გადამუშავება;
 - დ) სამაგისტრო ნაშრომი სრულად ვერ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, აუცილებელია მისი მნიშვნელოვანი გადამუშავება;
 - ე) სამაგისტრო ნაშრომი ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, კვლევა არ არის ჩატარებული, ან ნაშრომი წარმოადგენს პლაგიატს.
5. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნაში აუცილებელია მიეთითოს:
 - ა) სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობა;
 - ბ) ნაშრომის მოკლე დახასიათება;
 - გ) ნაშრომში წარმოდგენილი მეცნიერული სიახლე;
 - დ) ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება, დასმული საკითხების გადაწყვეტის სისრულე, სიღრმე და ორიგინალურობა, აგრეთვე, მისი შინაარსობრივი შესაბამისობა სამაგისტრო სპეციალობასთან;
6. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დადგენილი რეკომენდაციის მიღებისას სტუდენტი უფლებამოსილია დამოუკიდებლად დაასრულოს სამაგისტრო

ნაშრომი და მოამზადოს პრეზენტაცია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიისთვის წარსადგენად.

7. ამ მუხლის მეოთხე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეკომენდაციის მიღებისას სტუდენტი უფლებამოსილია გადაამუშავოს სამაგისტრო ნაშრომი და ხელახლა წარუდგინოს ის ხელმძღვანელს, რეკომენდაციის მიღებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.
8. ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის მიღებისას სტუდენტი ნაშრომის დაცვაზე წარდგენის შემთხვევაში, ვალდებულია გააქარწყლოს და დაასაბუთოს ხელმძღვანელის მიერ გამოთქმული შენიშვნები.
9. ამ მუხლით გათვალისწინებული, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებები არის სარეკომენდაციო ხასიათის. მაგისტრანტს, საკუთარი შეხედულებებით და პასუხისმგებლობით შეუძლია გაითვალისწინოს ან/და არ გაითვალისწინოს ისინი.
10. გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარმოდგენის შემდეგ, ნაშრომის ხელმძღვანელი აფასებს ნაშრომს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილებით: ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად / არ ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად.
11. ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება გათვალისწინებული იქნება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში.
12. ხელმძღვანელის შეფასება შეიძლება გასაჩივრდეს სტუდენტის მიერ სასწავლო კომპონენტის შეფასების გასაჩივრებისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას მაგისტრანტი ვალდებულია დაიცვას აკადემიური პატიოსნების ნორმები.
2. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე გაატაროს პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა, ამოქმედოს აკადემიური პატიოსნების დარღვევისა და ამ დარღვევებზე დისციპლინარული რეაგირების მექანიზმები, როგორც ეს განსაზღვრულია უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსში და განსაკუთრებით მკაცრი ზომები გაატაროს სტუდენტის მიმართ პლაგიატის შემთხვევაში.
3. აკადემიური პატიოსნების დარღვევად მიიჩნევა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების კომპონენტში:
 - ა) მაგისტრანტის მიერ განზრახ სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისება;
 - ბ) საკუთარი სახელით სხვისი ნამუშევარის ან მისი ნაწილის წარდგენა;
 - გ) სხვისი ნამუშევრის გამოყენება ციტირების მოთხოვნილი წესის დაცვის გარეშე;
 - დ) წარმოდგენილ ტექსტში სხვისი ნაშრომით სისტემატიკით ციტირება, სიტყვითი ან წინადადების წყობის ცვლილება, შინაარსის ცვლილების გარეშე;
 - ე) სხვისი ნამუშევრიდან გამომდინარე დასკვნების მოყვანა წყაროს მითითების გარეშე,
 - ვ) ინფორმაციის გაყალბება ან მისი მცდელობა;
 - ზ) კვლევის შედეგების განზრახ არასწორი ინტერპრეტირება;

- თ) კვლევებისა და დასკვნების დაუსაბუთებელ წყაროებზე დაყრდნობა.
4. ხელმძღვანელის რეკომენდაციის მიღებამდე სამაგისტრო ნაშრომი გადის პლაგიატზე შემოწმებას, ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამის საშუალებით.
 5. სამაგისტრო ნაშრომებისთვის ორიგინალური ტექსტის (ციტატების, პერეფრაზის და სხვა წყაროებიდან მოყვანილი ტექსტის გამოყენების გარეშე) დამთხვევის დასაშვები რაოდენობის ზღვარია არანაკლებ 85 %.
 6. ანტიპლაგიატზე შემოწმების შედეგები ეცნობება სტუდენტს და შეიძლება გასაჩივრდეს სასწავლო კომპონენტის გასაჩივრებისთვის დადგენილი წესით.
 7. სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის მიუხედავად, თუ ხელმძღვანელის მიერ გაცემულია დადებითი დასკვნა, ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დარღვევის საკითხზე დისციპლინარული წარმოება იწყება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზია

1. სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების და ხელმძღვანელის დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდეგ, სამაგისტრო ნაშრომი იგზავნება რეცენზიისთვის.
2. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შერჩევა ხდება პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე.
3. ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შესახებ არ არის ცნობილი მაგისტრანტისთვის და ხელმძღვანელისთვის რეცენზიის წარდგენამდე.
4. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი დამოუკიდებლად ამოწმებს წარმოდგენილ ნაშრომს დადგენილ ვადებში, რის შედეგად უგზავნის მას პროგრამის ხელმძღვანელს, ერთ-ერთი შემდეგი შეფასებით: ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად / არ ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად.
5. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზიაში აუცილებლად უნდა იყოს წარმოჩენილი:
 - ა) სარეცენზიო ნაშრომის დადებითი მხარე და ღირსებები;
 - ბ) შენიშვნები, რომლებიც გაუჩნდება რეცენზენტს. შენიშვნები უნდა იყოს არგუმენტირებული და შესაძლებელია კითხვის სახითაც დასმული.
6. რეცენზენტის შეფასება გათვალისწინებული იქნება სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში.
7. რეცენზენტის შეფასება შეიძლება გასაჩივრდეს სტუდენტის მიერ სასწავლო კომპონენტის შეფასების გასაჩივრებისთვის დადგენილი წესით.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა

1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით იქმნება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისია (შემდგომში - კომისია), თითოეული სპეციალობის მიხედვით.
2. კომისიის თავმჯდომარე აუცილებლად უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების დოქტორის ან კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

3. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან:
 - ა) ფაკულტეტის დეკანი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
 - ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
 - გ) მოცემული მიმართულების აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები.
4. პროგრამის ხელმძღვანელი კომისიას წერილობით წარუდგენს მოცემული სპეციალობის იმ სტუდენტთა ნუსხას, რომელთაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შესრულების (სამაგისტრო ნაშრომის დადგენილ ვადაში ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებების და პლაგიატზე შემოწმების შედეგების) საფუძველზე მოიპოვეს სამაგისტრო ნაშრომის საჯაროდ დაცვის უფლება.
5. მაგისტრანტის მიერ ამ წესის მოთხოვნების დაცვით სრულყოფილად გაფორმებული სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონული ვერსია, ხელმძღვანელის დასკვნისა და რეცენზიის თანხლებით წარედგინება კომისიას.
6. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მიმდინარეობს სამაგისტრო ნაშრომის შესახებ 10-15 წუთიანი პრეზენტაციის წარმოდგენის, ზეპირად და ვიზუალური თვალსაჩინოების გამოყენებით, კომისიის წევრებისა და რეცენზენტის, ასევე, კომისიის ნებართვით, დამსწრე აუდიტორიის კითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატით.
7. მაგისტრანტის მოხსენებაში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მითითებული სამაგისტრო ნაშრომის მიზნები, ამოცანები, არსებული მოსაზრებები დასმული პრობლემის შესახებ. უფრო ვრცლად უნდა იქნეს წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ანალიზი. ბოლოს, კონკრეტულად ჩამოყალიბდეს მიღებული დასკვნები, მათი თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება.
8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე.
9. სამაგისტრო სპეციალობისა და სამაგისტრო ნაშრომის თემის თავისებურებიდან გამომდინარე, ხელმძღვანელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება და დაცვა უცხოურ ენაზეც.
10. მაგისტრანტის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის შემდეგ, კომისია წარმოადგენს ხელმძღვანელის შეფასებასა და რეცენზენტის დასკვნას სამაგისტრო ნაშრომის თაობაზე.
11. მაგისტრანტი გამოთქვამს თავის მოსაზრებას შენიშვნებისა და რეკომენდაციების ირგვლივ. შემდეგ იმართება დისკუსია, რომელშიც კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებენ დაინტერესებული პირები დამსწრე საზოგადოებიდან.

მუხლი 13. კომისიის გადაწყვეტილება

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურის დასრულების შემდეგ კომისიის დახურულ სხდომაზე კომისიის თითოეული წევრი აფასებს თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომს და ამ ნაშრომის პრეზენტაციას.
2. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულს და ხორციელდება დანართში მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე (იხ. დანართი 6).
3. შეფასების დროს ყურადღება ექცევა სამაგისტრო ნაშრომის შემდეგ კომპონენტებს: ა) აქტუალობა;

- ბ) კვლევის პრაქტიკული და/ან თეორიული მნიშვნელობა;
- გ) სიახლე;
- დ) საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა;
- ე) კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის/მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, ლოგიკური მსჯელობა);
- ვ) დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ.);
- ზ) დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა;
- თ) დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა.

მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.
2. შეფასების სისტემით გათვალისწინებულია:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასება:
 - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები.
3. სამაგისტრო ნაშრომისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამავე პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის მომდევნო სემესტრში წარდგენის უფლებას. სტუდენტი ვალდებულია შეარჩიოს ახალი სამაგისტრო ნაშრომი და ხელახლა გაიაროს სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი მთლიანად, შემდგომ სემესტრში.
4. სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო განაცხადით.

მუხლი 15. აპელაცია

1. შეფასების მიმართ პრეტენზიის მქონე მაგისტრანტი უფლებამოსილია გააკეთოს საპრეტენზიო განაცხადი იქვე, შეფასების გამოცხადებისთანავე.

2. საპრეტენზიო განაცხადის განხილვის შემთხვევაში, მაგისტრანტი უფლებამოსილია შეხვდეს კომისიას, ხელმძღვანელს ან/და რეცენზენტს, მისთვის მიუღებელი შედეგის განხილვის მიზნით.
3. მაგისტრანტი უფლებამოსილია შეიტანოს სააპელაციო განაცხადი მის შეფასებაზე, შედეგების განხილვიდან 5 დღის ვადაში.
4. მაგისტრანტის აპელაცია უნდა იყოს დასაბუთებული.
5. აპელაციის პირველად განხილვას ახორციელებს უნივერსიტეტი პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით.
6. დაუსაბუთებელი აპელაცია უბრუნდება განმცხადებელს.
7. დასაბუთებული აპელაციის შემთხვევაში, სააპელაციო განაცხადი განსახილველად გადაეცემა შესაბამისი პროგრამისთვის შექმნილ საპრეტენზიო კომისიას, ფაკულტეტის დეკანის ან პროგრამის ხელმძღვანელის და აღნიშნული პროგრამის სპეციალობის სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი ორი პირის შემადგენლობით, რომელთაგან არც ერთს არ მიუღია მონაწილეობა მაგისტრანტის პირველად შეფასებაში.
8. საპრეტენზიო კომისია განიხილავს აპელაციას და გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის შესაბამისად.
9. გადაწყვეტილების ფარგლებში კომისია უფლებამოსილია გადახედოს ხელმძღვანელის შეფასებას, შეცვალოს რეცენზენტი ან/და დანიშნოს ნაშრომის ხელახალი დაცვა ან უარი თქვას სააპელაციო განაცხადის დაკმაყოფილებაზე.
10. აპელაციის შედეგები ეცნობება განმცხადებელს და აისახება საპრეტენზიო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებასა და წარდგინებაში.

მუხლი 16. საავტორო უფლებები სამაგისტრო ნაშრომზე

1. საავტორო უფლებები სამაგისტრო ნაშრომზე ეკუთვნის მის ავტორს.
2. მომიჯნავე უფლებები (მათ შორის ნაშრომის ან მისი ნაწილის დაბეჭდვის, ბიბლიოთეკაში ან/და ვებ-სივრცეში განთავსების, სამეცნიერო კვლევაში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში განხორციელებული კვლევის ანგარიშის ჩართვის და ა.შ.) უფლებები ეკუთვნის უნივერსიტეტს და აღნიშნული უფლებების რეალიზება არ საჭიროებს დამატებით ავტორთან შეთანხმებას.

მუხლი 17. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას და შეფასებისას გამოყენებული დანართები

1. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა (დანართი №1)
2. სამაგისტრო ნაშრომის თავფურცელი (დანართი №2)
3. სამაგისტრო ნაშრომის გეგმა (დანართი №3)
4. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების უწყისი (დანართი №4)
5. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასების უწყისი (დანართი №5)
6. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების უწყისი (დანართი №6)

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ნორმატივები:

- ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის სახე- Sylfaen;
- შრიფტის ზომა:
ტექსტის: - 11;
სათაურის: 14;
თავფურცელის: 14;
სქოლიოს: 9
- სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5
- ტექსტის მინდორი:
მარცხენა, მარჯვენა, ზემოთ და ქვემოთ -1იწი (2,5სმ).
(მინდორის პარამეტრებში აირჩიეთ „normal“)
- ნაშრომის მოცულობა - არანაკლებ 50 გვ. და არაუმეტეს 70 გვ. დანართების გარეშე;
(მათგან ლიტერატურის მიმოხილვა, არაუმეტეს 20 გვერდისა)
- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმატით, შესრულებული doc/docx (MS Word) და PDF ფორმატში, CD დისკზე.

სამაგისტრო	ნაშრომის	სტრუქტურა
სამაგისტრო	ნაშრომის	შემადგენელი

ნაწილებია:

- ა) თავფურცელი;
- ბ) აბსტრაქტი (ქართულ და ინგლისურ ენაზე);
- გ) შინაარსი (სარჩევი);
- დ) შესავალი;
- ე) ტექსტის ძირითადი ნაწილი;
- ვ) დასკვნა;
- ზ) გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
- თ) დანართები (სავალდებულო არ არის);
- ი) დამხმარე მარჯვენა (სავალდებულო არ არის).

სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა:

თავფურცელი

წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს დანართი N2-ით მოყვანილი ნიმუშის მიხედვით;

აბსტრაქტი

მოკლედ და გასაგებად უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობას, მიზნებსა და ამოცანებს, კვლევის საგანსა და ობიექტს, ძირითად შედეგებს და სიახლეს. აბსტრაქტი არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. აბსტრაქტი უნდა იყოს დაწერილი ქართულ და ინგლისურ ენებზე. აბსტრაქტის ინგლისურენოვანი ვარიანტი უნდა შეიცავდეს ავტორის ინიციალებს, გვარს, თემის დასახელებას. აბსტრაქტი ერთ გვერდზე უნდა იყოს განთავსებული და წარმოდგენილი თავფურცელის მომდევნო ფურცელზე.

შინაარსი (სარჩევი)

ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად, მათი დასაწყისი გვერდების ნომრების მითითებით მარჯვენა მხარეს. გვერდებს ნუმერაცია უნდა დაეწეროს შინაარსის გვერდის მომდევნო გვერდიდან თავფურცელის, აბსტრაქტისა და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

შესავალი

წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანები, საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება, დეტალურად უნდა იყოს განხილული საკითხის გარშემო აქტუალური ლიტერატურა და წინასწარი შედეგები. კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნიდან და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე აღწერილი უნდა იყოს კვლევის დროს გამოყენებული ვალიდური კვლევის ინსტრუმენტები.

ძირითადი ტექსტი - როგორც წესი, იყოფა თავებად და პარაგრაფებად, პარაგრაფი შეიძლება დაიყოს ე/წ ქვეპარაგრაფებად და ა.შ. თავები უნდა გადაინომროს თანმიმდევრულად და დასახელებებისაგან გამოიყოს წერტილებით. პარაგრაფს წინ დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები, რომლებიც ასევე წერტილებით არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი. თავის დასახელება უნდა დაიწეროს 16-იანი ზომის შრიფტით. უნდა მოიცავდეს კვლევის ობიექტს და მეთოდებს. შედეგებს და მათი ინტერპრეტაციას.

დასკვნა - წარმოდგენს სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელიც მოკლედ და კონკრეტულად პასუხობს ყველა იმ დასმულ ამოცანას, რომელიც მაგისტრანტს გააქვს საჯარო დაცვაზე. დასკვნაში აისახება მიღებული მეცნიერული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პერსპექტიული გამოყენების სფერო.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა - წარმოდგენილი უნდა იქნეს ნაშრომში მოცემული განხილვის მიხედვით ან ანბანური თანმიმდევრობით (უკანასკნელ შემთხვევაში, ჯერ უნდა მიეთითოს გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე).

დაუშვებელია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში ისეთი ნაშრომის შეტანა, რომელიც არა არის მოხსენიებული სამაგისტრო ნაშრომში.

სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა დასახელდეს ავტორის (ავტორების) გვარი და სახელი, ნაშრომის სახელწოდება, სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება, წელი, ტომი, ნომერი, აგრეთვე სრული ვებ-მისამართი (ელექტრონული მედიის შემთხვევაში).

წიგნის ან მონოგრაფიის მითითებისას უნდა დასახელდეს სახელწოდება, ავტორის (ავტორები) გვარი და სახელი, გამომცემლობა, გამოცემის წელი.

საილუსტრაციო მასალა - (სურათები, ნახაზები, დიაგრამები, ჰისტოგრამები, ცხრილები) უნდა იყოს გადანომრილი. ამავე დროს, თითოეულ მათგანს ესაჭიროება განმარტება, თუ რას წარმოდგენს იგი, რომელ სიდიდეებს შორის დამოკიდებულებაა მასზე გამოსახული და სხვ. უცხოურ ენაზე წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა ახლდეს დამატებითი ვრცელი (არანაკლებ 3 გვერდი) ქართულენოვანი აბსტრაქტი.

წყაროების მითითების და ციტირების სტანდარტები

1. ნაშრომში სათანადოდ უნდა იყოს მითითებული შესაბამისი წყაროები;
2. წყაროს მითითება უნდა გაკეთდეს არაბული ნუმერაციით სქოლიოს (footnote) სახით. ტექსტში მოცემულ სქოლიოს უნდა უსწრებდეს ჩამკეტი სასვენი ნიშანი (წერილი, ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი). სასვენ ნიშნამდე სქოლიოს გამოყენება დასაშვებია ცალკეული სიტყვის ან ტერმინის განმარტებისათვის;
3. ქართულ ენაზე წარმოდგენილი ნაშრომების რეკომენდებული წყაროს მითითების წესებია:
4. წიგნის პირველად მითითება:
 - ა) ერთი ან ორი ავტორის შემთხვევაში - ავტორ(ებ)ი, წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან პარაგრაფი.
მაგალითად: ჰობსი, თ, „ლევიათანი“, პინგვინის გამომცემლობა, 1985. გვ. 268.
 - ბ) რამდენიმე ავტორის შემთხვევაში - პირველი ავტორი „და სხვა“ მითითებით (ავტორთა კოლექტივის შემთხვევაში: ავტორთა კოლექტივი, რედაქტორის სახელი), წიგნის სახელწოდება ბრჭყალებში, გამომცემლობა, წელი, გვერდი ან პარაგრაფი. მაგალითად: ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი დემეტრაშვილი, ა., „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „პოლივუდი“, 2005. გვ. 305.
5. წიგნის ყოველი შემდგომი მითითება - ავტორის გვარი, იხ. შესაბამისი პირველადი მითითების სქოლიოს ნომერი, გვერდი ან პარაგრაფი. მაგალითად: ჰობსი, იხ. სქოლიო 15, გვერდი 88.

6. სტატია წიგნში: სტატიის ავტორი, სტატიის სახელწოდება, წიგნში - წიგნის მითითების წესით. მაგალითად: როუზი, ფ, „სახეობათა ევოლუცია“ წიგნში ბუროუზი, ე., და როჯერი (რედაქტორები), „სამართლის განსაზღვრა: ესეები პიტერ ბირკსის ხსოვნის საპატივცემულოდ“. ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2006.
7. პერიოდული გამოცემის სტატიის მითითება - სტატიის ავტორი, სტატიის სათაური ბრჭყალებში, გამოცემის ნომერი და გამოცემის სახელწოდება ბრჭყალებით, წელი, გვერდი ან/და პარაგრაფი. შემდგომი მითითების წესი წიგნის შემდგომი მითითების წესის მაგვარად. მაგალითად: კვარაცხელია, გ., „გაუქმებულ ან ძალადაკარგულად გამოცხადებულ სადავო აქტზე საკონსტიტუციო სამართალწარმოება“, 10 „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, 2016. გვ-გვ. 45-47.
8. საგაზეთო სტატიის მითითება - ავტორი, სტატიის სათაური ბრჭყალებში, გაზეთის სათაური დახრილი ფორმატით, თარიღი, გვერდები. მაგალითად: პარდოა-შიოპა, თ, “Il carattere dell’ Europa”, Carriere della Serra, 2004 წლის 22 ივნისი, გვ. 1.
9. ინტერნეტ წყაროების (ბლოგები, ვებგვერდები) მითითება - საგაზეთო სტატიის წესის მაგვარად, ვებგვერდის და უკანასკნელი გადამოწმების თარიღის კვადრატულ ფრჩხილებში მითითებით.
მაგალითად: კლასენი, მ., “The best interests of the child in deportation cases: An analysis of Ejimson v. Germany” Strasbourg Observers Blog, 2018 წლის 30 მარტი, ხელმისაწვდომია აქ: www.strasbourgobservers.com/2018/03/30/the-best-interests-of-the-child-in-deportation-cases-ananalysis-of-ejimson-v-germany/ [უკანასკნელად გადამოწმდა 2018 წლის 17 აპრილს].
10. კანონმდებლობის მითითება - მუხლის ნომერი, აქტის დასახელება, მიღების თარიღი. მაგალითად. მუხლი 7, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. 31 იანვარი, 1996;
მუხლი 19, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია 1950.
11. სასამართლო პრაქტიკის მითითება - სასამართლოს დასახელება, შესაძლებლობის შემთხვევაში სასამართლოს აქტის ტიპი, საქმის ან განაცხადის ნომერი, მხარეების დასახელება ბრჭყალებში, გადაწყვეტილების მიღების თარიღი, შესაბამისი გვერდი ან პარაგრაფი.
მაგალითად: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/477 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2011 წლის 22 დეკემბერი. პარაგრაფი 80.
მაგალითად: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე N9815/82 „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1986 წლის 8 ივნისი. პარაგრაფები 41-42.
12. ციტატის მითითების წესები განისაზღვრება შემდეგი სახით:
ტექსტში ან სქოლიოში მოცემული ციტატა უნდა განთავსდეს ორმაგ ბრჭყალებში: ბრჭყალი უნდა იყოს დაბალი („), ციტატის დასრულების შემდეგ - მაღალი (“), მაგალითად: „ააა“;

დანართი N2

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

მაგისტრანტი სახელი, გვარი ნათესაობით ბრუნვაში
სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ფაკულტეტის
სახელწოდება ფაკულტეტზე

პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
სახელი, გვარი,
თანამდებობა

ნაშრომის შესრულების ადგილი
წელი

დანართი N3

სამაგისტრო ნაშრომის გეგმა

სამაგისტრო ნაშრომის გეგმა ასახავს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ცალკეულ ეტაპებს, განსაზღვრავს საკვლევ პრობლემას/კითხვას და კვლევის განხორციელებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტების ჩამონათვალს, კვლების მეთოდებს და გამოსაყენებელ ლიტერატურას.

სტუდენტის მიერ შევსებული გეგმა შეთანხმებული უნდა იყოს ხელმძღვანელთან უნივერსიტეტის მიერ წინასწარ დადგენილ ვადებში.

სამაგისტრო პროგრამა	
სტუდენტის სახელი, გვარი	ხელმძღვანელის სახელი, გვარი
სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის სათაური	

საკვლევ პრობლემა აღწერება საკვლევ პრობლემის აქტუალობა
კვლევის მიზანი, საკვლევ კითხვა/კითხვები ან/და ჰიპოთეზა (საკვლევ თეზისი)
კვლევის მეთოდოლოგია კვლევის მიზნიდან და საკვლევ კითხვებიდან გამომდინარე აღწერეთ კვლევის დროს გამოსაყენებელი ვალიდური კვლევის ინსტრუმენტები
ლიტერატურის მიმოხილვა იმ ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, რომელსაც სტუდენტი გამოიყენებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას

კვლევითი აქტივობის გეგმა		
N	განსახორციელებელი კვლევითი აქტივობა/აქტივობები	პერიოდი

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:



სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები
ხელმძღვანელისთვის MASTER'S THESIS ASSESSMENT
CRITERIA FOR SUPERVISOR

თარიღი / **Date:**

...../...../.....

მაგისტრანტის / Master's Student's

სახელი, გვარი / **Name, Surname:**

.....

სამაგისტრო ნაშრომის სათაური/ **Title of the Master's Thesis:**

.....

.....

.....

კრიტერიუმი Criteria	გთხოვთ, მონიშნეთ Please Indicate	
	დიახ/Yes	არა/No
1 აქტუალობა/სიახლე Actuality / Novelty	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2 პრაქტიკული მნიშვნელობა Practical significance	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3 თეორიული მნიშვნელობა Theoretical significance	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4 კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან Relevance of research methodology to the posed problem	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	Depth of the analysis of research question and originality of the conclusions		
6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	Persuasiveness of research results		
7	კვლევის შედეგების რელევანტური ინტერპრეტაცია (ლოგიკური მსჯელობა), დასკვნების არგუმენტაცია და შესაბამისობა მიზანთან.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	Relevant interpretation of research results (logical argumentation), argumentation of results and compliance with the goal		
8	სეუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან/აკადემიურ სტილთან შესაბამისობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	Compliance with the format / academic style set by the SEU		
9	ლიტერატურის დამუშავების ხარისხი და მრავალფეროვნება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	Quality and diversity of literature processing		
10	ნაშრომის ენა, ტექსტის სტილისტური და გრამატიკული გამართულობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	The language of the thesis, the stylistic and grammatical correctness of the text		
11	ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში ჩართულობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	Involvement in the writing process of the thesis in cooperation with supervisor		

დიახ/Yes

არა/No

გადაწყვეტილება / Decision

ემლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად/
Recommendation is given for Defense

კომენტარები/რეკომენდაციები/Comments/Recommendations

ნაშრომის მოკლე დახასიათება / Brief description of the thesis
ცალკეული კრიტერიუმის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, სავალდებულოა არგუმენტირებული დასაბუთება / In case of negative evaluation of separate criteria, argumentation is mandatory

ხელმძღვანელის სახელი, გვარი/Full Name of the Supervisor

ხელმოწერა / Signature



სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები რეცენზენტისთვის
MASTER'S THESIS ASSESSMENT CRITERIA FOR REVIEWER

თარიღი / Date:/...../.....

მაგისტრანტის / Master's Student's

სახელი, გვარი / Name, Surname:

.....

სამაგისტრო ნაშრომის სათაური / Title of the Master's Thesis:

.....

კრიტერიუმი Criteria	გთხოვთ, მონიშნეთ Please Indicate	
	დიახ/Yes	არა/No
1 აქტუალობა/სიახლე Actuality / Novelty	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2 პრაქტიკული მნიშვნელობა Practical significance	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3 თეორიული მნიშვნელობა Theoretical significance	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4 კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან Relevance of research methodology to the posed problem	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5 საკვლევე პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა Depth of the analysis of research question and originality of the conclusions	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6 კვლევის შედეგების დამაჯერებლობა Persuasiveness of research results	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

7	კვლევის შედეგების რელევანტური ინტერპრეტაცია (ლოგიკური მსჯელობა), დასკვნების არგუმენტაცია და შესაბამისობა მიზანთან Relevant interpretation of research results (logical argumentation), argumentation of results and compliance with the goal	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8	სეუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან/აკადემიურ სტილთან შესაბამისობა Compliance with the format / academic style set by the SEU	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9	ლიტერატურის დამუშავების ხარისხი და მრავალფეროვნება Quality and diversity of literature processing	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10	ნაშრომის ენა, ტექსტის სტილისტური და გრამატიკული გამართულობა The language of the thesis, the stylistic and grammatical correctness of the text	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

გადაწყვეტილება / Decision

დიახ/Yes

არა/No

ეძლევა რეკომენდაცია დაცვაზე გასასვლელად

Recommendation is given for Defense

სამაგისტრო ნაშრომის მოკლე შეფასება/Brief Assessment of the Master’s Thesis:

ნაშრომის დადებითი მხარე და ღირსებები/Positive aspects of the reviewed Thesis
რეცენზენტის შენიშვნები სამაგისტრო ნაშრომზე/Remarks of the reviewer about the Thesis

რეცენზენტის შეკითხვები სამაგისტრო ნაშრომზე/Questions of the reviewer about the Thesis	
I	
II	
III	

რეცენზენტის სახელი, გვარი / Full name of the Reviewer

_____ ხელმოწერა

/ Signature



სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები საჯარო დაცვისათვის
MASTER'S THESIS ASSESSMENT CRITERIA for PUBLIC DEFENSE

თარიღი /
Date:

...../...../.....

მაგისტრანტის / Master's Student's

სახელი, გვარი / Name, Surname:

.....

სამაგისტრო ნაშრომის სათაური / Title of the Master's Thesis:

.....

დადებითად მიიჩნევა შეფასება, თუ თითოეულ კრიტერიუმში მინიჭებულია ქულების არანაკლებ 50%

An assessment is considered to be positive when each criterion is assigned at least 50% of the points.

კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა	მინიჭებული ქულა
Criteria	Maximum Points	Points assigned
1 აქტუალობა/სიახლე Actuality / Novelty	10	
2 კვლევის პრაქტიკული და/ან თეორიული მნიშვნელობა Practical or/and theoretical value of research	15	
3 კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან Relevance of research methodology to the posed problem	10	

4	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა Depth of the analysis of research question and originality of the conclusions	15	
5	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა Persuasiveness of research results	10	
6	სეუ-ს მიერ დადგენილ ფორმატთან/აკადემიურ სტილთან შესაბამისობა Compliance with the format / academic style set by the SEU	5	
7	გამოყენებული ლიტერატურა Used literature	5	
8	პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის ძირითადი დებულებების წარმოდგენა და ა.შ.) Presentation (logical argumentation, structure of the presentation, fluency, presentation of main postulates of the thesis, etc.)	10	
9	კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა Giving adequate replies to the given questions, defending one's own position, knowledge of terminology.	15	
10	გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა Effectiveness of audio-visual aids used	5	

ჯამი / Total 100

კომისიის წევრის სახელი/გვარი / Full name of the commission member:

ხელმოწერა / Signature: _____